

დამტკიცებულია

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის

რექტორის 2018 წლის 01 აგვისტო № 2/74 ბრძანებით

ცვლილებები შესულია რექტორის 2019 წლის 07 მარტის № 2/27
ბრძანებით



შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ბუღალტრული აღრიცხვა

პროგრამის ხელმძღვანელი: ტატიანა ბერიძე

საკონტაქტო ინფორმაცია: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია

მისამართი: თბილისი, წერონისის ქ. 208

ტელ: 2 24 95 57; 593 30 32 11

www.bta.edu.ge email: btaedu@yahoo.com

თბილისი 2019 წ

1. ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროგრამა - ბუღალტრული აღრიცხვა - Accounting
2. ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროგრამა - 04114-3
3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში/ Higher Vocational Qualification in Accounting

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „საბუღალტრო აღრიცხვა და დაბეგვრა“, კოდი 0411, აღმწერი - „შეისწავლის ფინანსური ოპერაციების განხორციელებას, აუდიტირებასა და აღრიცხვას.“

4. მიზანი

ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამის მიზანია მოამზადოს კვალიფიციური ბუღალტერი, რომელიც მონაწილეობას მიღებს სამეწარმეო, არასამეწარმეო, სახელმწიფო ორგანიზაციის/დაწესებულების ან პირის სააღრიცხვო პოლიტიკის დაგეგმვაში, ორგანიზებასა და წარმართვაში. შეძლებს ფინანსური, ბუღალტრული ანგარიშებისა და ჩანაწერების შემოწმებას და ანალიზს, უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას დადგენილ კანონმდებლობასა და სტანდარტებთან; ახორციელებს ბუღალტრულ გატარებებს; ადგენს და დადგენილი წესით წარადგენს საგადასახადო დეკლარაციებს; უზრუნველყოფს საგადასახადო ვალდებულებების გადარიცხვას სახელმწიფო ბიუჯეტში; შეუძლია ფინანსურ ანგარიშგების, პირველად სააღრიცხვო და სხვადასხვა სახის ფინანსურ დოკუმენტაციის შედგენა გარე და შიდა მომხმარებლებისათვის.

5. დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება

6. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები

ბუღალტრულ აღრიცხვაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს კერძო და საჯარო უწყებებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში საბუღალტრო და საფინანსო სამსახურებში, აუდიტორულ და საკონსულტაციო კომპანიებში მთავარ ბუღალტრად, ბუღალტრის თანაშემწედ/ასისტენტად, ბუღალტერ-მოანგარიშედ. შესაძლებელია თვითდასაქმებაც, კერძო პროფესიული პრაქტიკის განხორციელების გზით.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 69, 69.20.1
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO) კოდი: 3313

7. სტრუქტურა და მოდულები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 3 ზოგადი მოდულს 11 კრედიტის მოცულობით და 16 პროფესიულ მოდულს 88 კრედიტის მოცულობით. ბუღალტრული აღრიცხვაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად **99 კრედიტი**.

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

ქართული ენა A2 15 კრედიტი
 ქართული ენა B1 15 კრედიტი

პროგრამის მოცულობა :

- ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის: 99 კრედიტი
- არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის: 129 კრედიტი

პროგრამის ხანგრძლივობა:

- ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 16 სასწავლო თვე
- არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 21 სასწავლო თვე

ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	უცხოური ენა	5
2	მეწარმეობა 3	3
3	ინფორმაციული წიგნიერება 2	3
სულ:		11
პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები	7
2	ძირითადი პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების წარმოება	3
3	სააღრიცხვო მონაცემთა ბაზის შექმნა	9
4	კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა	5
5	საგადასახადო დეკლარირება	4
6	სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ ვალდებულებები	4
7	ინვენტარიზაცია	2
8	ფინანსური ანგარიშგების შედგენა	8
9	ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება ეკონომიკური საქმიანობის სახეობის მიხედვით	12
10	მმართველობითი აღრიცხვა	8
11	Ms Excel	6
12	ბიზნეს ინგლისური	5
13	აუდიტის საფუძვლები	2
14	ეკონომიკური ანალიზი	5

15	გაცნობითი პრაქტიკა - ბუღალტრული აღრიცხვა	2
16	პრაქტიკული პროექტი - ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგების მომზადება	6
სულ:		88

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია

1. შეიმუშაოს სააღრიცხვო პოლიტიკა;
2. შეავსოს და არგუმენტირება გაუკეთოს სამუშაო ფორმებს (სააღრიცხვო დოკუმენტები);
3. აწარმოოს ბუღალტრული ოპერაციები;
4. შეავსოს და გააგზავნოს დეკლარაციები;
5. მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება;
6. აწარმოოს ბუღალტრულ აღრიცხვა ეკონომიკური საქმიანობის ზოგიერთი სახეობის მიხედვით;
7. აწარმოოს კონტროლი სამეურნეო სუბიექტის საბუღალტრო აღრიცხვაზე;
8. აწარმოოს მმართველობითი აღრიცხვა;
9. შეასრულოს ეკონომიკური ანალიზი.

9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიამ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შეიმუშავა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა . მოდულური პროგრამის ადაპტირება/დანერგვისთვის რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით შეიქმნა შიდა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი და მოდულების განმახორციელებელი პირები. შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებულ ყველა სავალდებულო ზოგად და სავალდებულო პროფესიულ მოდულს.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს დაადასტუროს სწავლის შედეგი პროგრამის დასრულებამდე ან იმ მოდულის დაწყებამდე, რომლის წინაპირობაც არის მოდული, რომლის შედეგიც ვერ დაადასტურა, შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულებში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პრეროგატივას.

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

1. სასწავლო გეგმა **დანართი 1**
2. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი **დანართი 2**
3. ინფორმაციული წიგნიერება **2 დანართი 3**
4. მეწარმეობა **3 დანართი 4**
5. უცხოური ენა -ინგლისური **დანართი 5**
6. ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები **დანართი 6**
7. ძირითადი პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების წარმოება **დანართი 7**
8. სააღრიცხვო მონაცემთა ბაზის შექმნა **დანართი 8**
9. კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა **დანართი 9**
10. საგადასახადო დეკლარირება **დანართი 10**
11. სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ ვალდებულებები **დანართი 11**
12. ინვენტარიზაცია **დანართი 12**
13. ფინანსური ანგარიშგების შედგენა **დანართი 13**
14. ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება ეკონომიკური საქმიანობის სახეობის მიხედვით **დანართი 14**
15. მმართველობითი აღრიცხვა **დანართი 15**
16. Ms Excel **დანართი 16**
17. ბიზნეს ინგლისური **დანართი 17**
18. აუდიტის საფუძვლები **დანართი 18**
19. ეკონომიკური ანალიზი **დანართი 19**
20. გაცნობითი პრაქტიკა - ბუღალტრული აღრიცხვა **დანართი 20**
21. პრაქტიკული პროექტი - ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგების მომზადება **დანართი 21**
22. ქართული ენა A2 **დანართი 22**
23. ქართული ენა B1 **დანართი 23**
24. სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსის ჩამონათვალი **დანართი 24**

#	მოდული	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია/სამუშაო გამოცდილება	შენიშვნა
1.	უცხოური ენა -ინგლისური	მაია ცუკილაშვილი ლია ჯელია	ფილოლოგის (ინგლისური და იტალიური ენები და ლიტერატურა) კვალიფიკაცია ინგლისური ფილოლოგი	
2.	ინფორმაციული წიგნიერება 2	ლელა სამსონიძე	მაგისტრის აკადემიური ხარისხი გამოთვლით მათემატიკასა და ინფორმატიკაში	
3.	მეწარმეობა 3	მაია შაპიაშვილი თამარ ავბეწვაშვილი ნანა ხითარიშვილი	უმადლესი კვალიფიკაციის საქონელმცოდნე კომერსანტის კვალიფიკაცია აგრობიზნესის მენეჯმენტის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი	
4.	აუდიტის საფუძვლები	ლია ქევხიშვილი მაია შაპიაშვილი	ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაცია/ მასწავლებლის 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება უმადლესი კვალიფიკაციის საქონელმცოდნე კომერსანტის კვალიფიკაცია	

		აიდა ქიტაშვილი- კვაჭანტირაძე	ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი	
5.	ბიზნეს ინგლისური	თამარა ტარტარაშვილი ტატინა ბერიძე	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ინგლისური ფილოლოგიის სპეციალობით/ სამუშაო გამოცდილება / საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხი ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სპეციალობა აღრიცხვა აუდიტი და კონტროლი	
6.	ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება ეკონომიკური საქმიანობის სახეობის მიხედვით	ლია ქევხიშვილი ტატინა ბერიძე	ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაცია/ მასწავლებლის 10 წლიანი ს სამუშაო გამოცდილება ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სპეციალობა აღრიცხვა აუდიტი და კონტროლი	
7.	ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები	მაია პაპიაშვილი ტატინა ბერიძე	უმალლესი კვალიფიკაციის საქონელმცოდნე კომერსანტის კვალიფიკაცია	

		ციალა ზაკუტაშვილი	ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სპეციალობა აღრიცხვა აუდიტი და კონტროლი ელექტრონული ტექნიკის ინჟინრის კვალიფიკაცია	
8.	ძირითადი პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების წარმოება	ლია ქევხიშვილი ციალა ზაკუტაშვილი	ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაცია/ მასწავლებლის 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება ელექტრონული ტექნიკის ინჟინრის კვალიფიკაცია	
9.	ეკონომიკური ანალიზი	მაია პაპიაშვილი თამარ ავბეწვაშვილი აიდა ქიტაშვილი- კვაჭანტირაძე	უმადლესი კვალიფიკაციის საქონელმცოდნე კომერსანტის კვალიფიკაცია აგრობიზნესის მენეჯმენტის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი	
10.	ფინანსური ანგარიშგების შედგენა	მაია პაპიაშვილი ტატიანა ბერიძე	უმადლესი კვალიფიკაციის საქონელმცოდნე კომერსანტის კვალიფიკაცია ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სპეციალობა აღრიცხვა აუდიტი და კონტროლი	

11.	გაცნობითი პრაქტიკა - ბუღალტრული აღრიცხვა	ციალა ზაკუტაშვილი ტატინა ბერიძე	ელექტრონული ტექნიკის ინჟინრის კვალიფიკაცია ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სპეციალობა აღრიცხვა აუდიტი და კონტროლი	
12.	ინვენტარიზაცია	ტატინა ბერიძე	ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სპეციალობა აღრიცხვა აუდიტი და კონტროლი	
13.	კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა	ტატინა ბერიძე ციალა ზაკუტაშვილი	ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სპეციალობა აღრიცხვა აუდიტი და კონტროლი ელექტრონული ტექნიკის ინჟინრის კვალიფიკაცია	
14.	მმართველობითი აღრიცხვა	ტატინა ბერიძე ლევან ლაზვიაშვილი	ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სპეციალობა აღრიცხვა აუდიტი და კონტროლი ეკონომისტ-მენეჯერის კვალიფიკაცია / ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი	

15.	Ms Excel	ლელა სამსონიძე ტატინა ბერიძე	მათემატიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სპეციალობა აღრიცხვა აუდიტი და კონტროლი	
16.	პრაქტიკული პროექტი - ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგების მომზადება	ლია ქევხიშვილი ტატინა ბერიძე	ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაცია/ მასწავლებლის 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სპეციალობა აღრიცხვა აუდიტი და კონტროლი	
17.	სააღრიცხვო მონაცემთა ბაზის შექმნა	ტატინა ბერიძე	ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სპეციალობა აღრიცხვა აუდიტი და კონტროლი	
18.	საგადასახადო დეკლარირება	ტატინა ბერიძე	ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სპეციალობა აღრიცხვა აუდიტი და კონტროლი	
19.	სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ ვალდებულებები	ლია ქევხიშვილი	ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაცია/ მასწავლებლის 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება	
20.	ქართული ენა A2	ბელა მინდელი	ფილოლოგიის კვალიფიკაცია	

21.	ქართული ენა B1	ბელა მინდელი	ფილოლოგის კვალიფიკაცია	